



## მომხმარებლის/პაროლის აღდგენა

შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების <https://eservices.rs.ge> მომხმარებლის/პაროლის აღდგენისთვის, შეგიძლიათ ისარგებლოთ პაროლის აღდგენის სერვისით.

- სერვისით სარგებლობისათვის გააქტიურეთ შესაბამისი ჩანართი



- შედეგად სისტემა ეკრანზე გამოიტანს ფანჯარას, სადაც ჩანართიდან „პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი“ შეგიძლიათ განახორციელოთ მომხმარებლის/პაროლის აღდგენა.



მიუთითეთ პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი

- მიუთითეთ პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი და გააქტიურეთ ღილაკი „ძებნა“.
- შესაბამისი მონაცემის მითითების შემდეგ, სისტემა მოგთხოვთ იმ მობილური ტელეფონის ნომრის მითითებას, რომელიც დაფიქსირებულია შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე. ნომერი მიუთითეთ შემდეგი ფორმატით -5XXXXXXXX

პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი

XXXXXXXXXXXX

შეიყვანეთ სისტემაში რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი

5XXXXXXXX


პაროლის აღდგენა

ალტერნატიული მეთოდი

ვიდეო ზარის საშუალებით აღდგენა

ვიდეო ზარის გამოყენებით თანხმობას ვაცხადებ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელდეს ვიდეო ზარის ჩანერა.

- მონაცემების შევსების შემდეგ გააქტიურეთ ღილაკი „პაროლის აღდგენა“;
- წარმატებით დასრულებული პროცედურების შედეგად, სისტემა გამოიტანს შეტყობინებას



- რის შედეგად, მითითებულ ტელეფონის ნომერზე და ელექტრონული ფოსტის მისამართზე სისტემის მიერ იგზავნება მომხმარებლის სახელი და ახალი პაროლი;
- სისტემა მომხმარებელს სთავაზობს ალტერნატიული მეთოდით მომხმარებლის/პაროლის „ვიდეო ზარის საშუალებით აღდგენა“-ს

პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი

XXXXXXXXXXXX

შეიყვანეთ სისტემაში რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი


პაროლის აღდგენა

ალტერნატიული მეთოდი

ვიდეო ზარის საშუალებით აღდგენა

ვიდეო ზარის გამოყენებით თანხმობას ვაცხადებ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელდეს ვიდეო ზარის ჩანერა.

- გააქტიურეთ სერვისი „ვიდეო ზარის საშუალებით აღდგენა“;
- სისტემა გამოიტანს ახალ ფანჯარას, სადაც იდენტიფიცირების მიზნით, უნდა მიუთითოთ თქვენი პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მობილურის ნომერი, იურიდიული პირის სახელით დაკავშირების შემთხვევაში იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო ნომერი.
- ოპერატორთან კავშირის დასამყარებლად აუცილებელია, რომ ვებ-გვერდს მისცეთ უფლება გამოიყენოს თქვენი კამერა და მიკროფონი;
- მონაცემების შევსების შემდეგ გააქტიურეთ ღილაკი „ოპერატორთან დაკავშირება“



- რის შემდეგ, სისტემა უზრუნველყოფს თავისუფალ ოპერატორთან დაკავშირების შესაძლებლობას.

შენიშვნა: თავისუფალ ოპერატორთან დაკავშირების შემდეგ თქვენ ასევე შეგიძლიათ შეცვალოთ ბაზაში რეგისტრირებული მობილური ტელეფონის ნომერიც.